



**IBSU**

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი  
ხარისხის მართვის სისტემის დოკუმენტაცია

## საერთაშორისო სტუდენტების ჩარიცხვის წესი

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 04/10/2017 წ. - ოქმი №11 (დანართი №5)

### დამტკიცებულია

ქვემოთ მოცემული ხელმოწერები ადასტურებს, რომ აღნიშნული დოკუმენტი წაკითხული და მიღებულია.

ხელმოწერის ავტორები ადასტურებენ, რომ ისინი ნამდვილად ფლობენ წინამდებარე დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას და უზრუნველყოფენ მასში ასახული პირობების განხორციელებას.

პრორექტორი საგარეო  
მოამზადა: ურთიერთობების დარგში

შეამოწმა: იურიდიული სამსახური

დაამტკიცა: აკადემიური საბჭო

დოკუმენტის No: IBSU.R03.I03.G

ვერსია: 2.00

განახლების თარიღი:  
08/02/2019

დამტკიცების თარიღი:  
04/10/2017

შეუმოწმებელი ვერსია  შემოწმებული ვერსია

შხსუ-ს კუთვნილი დოკუმენტაცია.

წინამდებარე დოკუმენტით სარგებლობამდე, დარწმუნდით, რომ დოკუმენტს აქვს ბოლო განახლების ნომერი ხარისხის მართვის დოკუმენტაციის პლატფორმაზე მისი შემოწმების გზით. ცვლილებების მოთხოვნის შემთხვევაში, მიმართეთ დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელ ერთეულს.

---

**შინაარსი**

შეტანილი ცვლილებები .....	3
ცვლილებების ნუსხა .....	4
მუხლი 1. ზოგადი დებულებები .....	5
მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა.....	6
მუხლი 3. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება .....	7
მუხლი 4. საერთაშორისო სტუდენტების ჩარიცხვა.....	8
მუხლი 5. საერთაშორისო სტუდენტთა ჩარიცხვა მობილობის წესით .....	10
მუხლი 6. დასკვნითი დებულებები.....	10

შეტანილი ცვლილებები

#	გადაწყვეტილების მიმღები ორგანო	გადაწყვეტილების №	თარიღი
1.	აკადემიური საბჭო	11	29.06.2018
2.	აკადემიური საბჭო	24	13.12.2018
3.	აკადემიური საბჭო	3	08.02.2019

თავდაპირველი რედაქცია: 04.10.2017

ცვლილებების ნუსხა

#	თარიღი	მუხლი	შენიშვნა
01	29.06.2018	2	საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა
02	13.12.2018	1	ზოგადი დებულებები
03	13.12.2018	2	საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა
04	13.12.2018	4	საერთაშორისო სტუდენტების ჩარიცხვა
05	13.12.2018	5	საერთაშორისო სტუდენტების ჩარიცხვა მობილობის წესით
06	08.02.2019	2	საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

- 1.1. წინამდებარე დებულება ადგენს შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ (შემდგომში - უნივერსიტეტი) საერთაშორისო სტუდენტების ჩარიცხვის წესს.
- 1.2. წინამდებარე დებულება შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის N224/ნ ბრძანების, უნივერსიტეტის შინაგანაწესის, „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისა“ და უნივერსიტეტის სხვა დებულებების შესაბამისად.
- 1.3. წინამდებარე დებულების მიზნებისათვის, საერთაშორისო სტუდენტი გულისხმობს უცხო ქვეყნის მოქალაქეს, მოქალაქეობის არმქონე პირს, საქართველოს მოქალაქეს რომელსაც მიღებული აქვს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრული კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში.
- 1.4. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სტუდენტის სტატუსის მოპოვება შეუძლიათ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის N224/ნ ბრძანებით განსაზღვრულ პირებს.
- 1.5. (ამოღებულია)  
*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი 24.*
- 1.6. უნივერსიტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების უფლება აქვთ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებმაც მოიპოვეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, უნივერსიტეტის „სადოქტორო სწავლებისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით“ დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.
- 1.7. საერთაშორისო სტუდენტების ჩარიცხვის პროცესს კოორდინირებას უწევს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური.

**მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა**

2.1. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მოთხოვნით უნივერსიტეტისათვის მიმართვის უფლება აქვთ წინამდებარე დებულების პირველი მუხლით განსაზღვრულ პირებს. აღნიშნულ პირებს შეუძლიათ მოითხოვონ უნივერსიტეტის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვა იმ შემთხვევაშიც, თუკი მათ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სტუდენტის სტატუსი უკვე მოიპოვეს საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

2.2. საერთაშორისო სტუდენტობის კანდიდატი, რომელიც სარგებლობს უნივერსიტეტში პირველადი ჩარიცხვის უფლებით, ვალდებულია:

ა) უნივერსიტეტს წარუდგინოს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობად დადგენილი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და სამგზავრო დოკუმენტი. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან ერთად, განიხილავს აღნიშნულ დოკუმენტაციას და აცნობებს სტუდენტს პირველადი გადაწყვეტილების შესახებ. თუკი აღნიშნული გადაწყვეტილება დადებითია, აპლიკანტი ვალდებულია უნივერსიტეტს წარუდგინოს ყველა დანარჩენი დოკუმენტაცია, რაც განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის.

ბ) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის, პროგრამის ენის დონის დადგენის მიზნით აპლიკანტს უტარდება გასაუბრება და უტარდება წერიტი გამოცდა. გასაუბრების ვიდეოჩანაწერი მიეწოდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

ბ<sup>1</sup>) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის, აპლიკანტი თავისუფლდება, პროგრამის ენის დონის დადგენის მიზნით, წერილობით გამოცდის ჩაბარებისგან, თუ მას აქვს შესაბამისი უცხო ენის B1 დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი (R03L05), ან არის შესაბამისი უცხოენოვანი სკოლის კურსდამთავრებული, ან არის იმ ქვეყნის მოქალაქე, სადაც პირველი/მეორე ოფიციალური ენა არის პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრული უცხო ენა.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილებით - ოქმი 3.*

გ) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის 2.2. მუხლის „ბ“ პუნქტით განსაზღვრული ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი გამოცდის ჩაბარების, (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის

მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც არანაკლებ 75 დღისა ერთ-ერთი სემესტრის ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, დამატებით უნდა ჩააბარონ ზოგადი უნარების გამოცდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დ) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის 2.2 მუხლის „ბ“ პუნქტით განსაზღვრული ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი გამოცდის ჩაბარების გარდა, აპლიკანტი ვალდებულია გაიაროს პროგრამაზე მიღების წინაპირობად დადგენილი ყველა ეტაპი „სამაგისტრო სწავლების დებულებით“ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

ე) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის, აპლიკანტი ვალდებულია გაიაროს პროგრამაზე მიღების წინაპირობად დადგენილი ყველა ეტაპი „სადოქტორო სწავლებისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების“ შესაბამისად.

პროგრამის ენის დონის დადგენის მიზნით ჩატარებული გამოცდის დონე განისაზღვრება R03L05-ით.

- 2.3. წინამდებარე მუხლის 2.2 ქვეპუნქტით განსაზღვრული დოკუმენტებისა და შეფასების შედეგების საფუძველზე, უნივერსიტეტი იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტის ჩარიცხვის შესაძლებლობის შესახებ. დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, უნივერსიტეტის გასცემს შესაბამის ცნობას (წერილს), რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით, აპლიკანტის სხვა დოკუმენტებთან ერთად წარედგინება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს (შემდგომში „ცენტრი“), შემდგომი ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების მიზნით.

*(ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2018 წლის ივნისის გადაწყვეტილებით, ოქმი №11)*

*(ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №24)*

### მუხლი 3. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება

- 3.1. საერთაშორისო სტუდენტის ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების გარეშე, ასევე სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება, მიღების წინაპირობად დადგენილი განათლების აღიარების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.



- 3.2. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებასა და ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნით შესაბამისი წარმოება ხორციელდება ცენტრისადმი მიმართვის საფუძველზე.
- 3.3. წინამდებარე მუხლის 3.2 ქვეპუნქტით განსაზღვრული პროცესის წარმართვისა და აღნიშნულ პროცესში უნივერსიტეტის აპლიკანტთა მხარდაჭერის მიზნით, უნივერსიტეტი ეხმარება აპლიკანტს საჭირო დოკუმენტების შეგროვებასა და ცენტრში წარდგენაში.

#### მუხლი 4. საერთაშორისო სტუდენტების ჩარიცხვა

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი 24.*

4.1. წინამდებარე დებულების მე-3 მუხლით განსაზღვრული პროცედურების განხორციელების შემდგომ, საერთაშორისო სტუდენტების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე, უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ერთიან აქტს ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე პირთა საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის თაობაზე, დოქტორანტურაში სტუდენტების ჩარიცხვის თაობაზე.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი 24.*

4.2. რექტორის ერთიანი აქტი ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე პირთა საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის თაობაზე გამოიცემა საერთაშორისო სტუდენტების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების გამოცემიდან ერთი წლის ვადაში ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს პირის დაშვება სასწავლო პროცესში და სწავლის შედეგების მიღწევა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4.3. რექტორის ერთიანი აქტი ერთიან აქტს ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე პირთა საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის თაობაზე, დოქტორანტურაში სტუდენტების ჩარიცხვის თაობაზე აისახება ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი 24.*



- 
- 4.4. საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრაციასა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხების ადმინისტრირებაზე ვრცელდება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ დადგენილი ნორმები.

**მუხლი 5. საერთაშორისო სტუდენტთა ჩარიცხვა მობილობის წესით**

- 5.1. წინამდებარე დებულების პირველი მუხლით განსაზღვრულ პირებს უფლება აქვთ ისარგებლონ მობილობის უფლებით და ჩაირიცხონ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამაზე.
- 5.2. საერთაშორისო სტუდენტთა მობილობა ხორციელდება ცენტრის მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 5.3. წინამდებარე მუხლით დადგენილი წესით სტუდენტების ჩარიცხვის პროცესს კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი 24.*

**მუხლი 6. დასკვნითი დებულებები**

- 6.1. საკითხები, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე დებულებით, რეგულირდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სხვა დებულებებით.
- 6.2. წინამდებარე დებულებაში შესული ნებისმიერი სახის ცვლილება და დამატება მტკიცდება აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით.
- 6.3. წინამდებარე დებულება ძალაში შედის აკადემიური საბჭოს მიერ მისი დამტკიცებისთანავე.
- 6.4. წინამდებარე დებულების შესრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებს პრორექტორი საგარეო ურთიერთობების დარგში.

*უნივერსიტეტის წესების შეუსრულებლობა დაუშვებელია. ყველა ვალდებულია იცნობდეს შხსუ-ს მიერ შემუშავებულ წესებსა და რეგულაციებს.*

---

*შხსუ ყველას თანაბარ შესაძლებლობებს სთავაზობს, განურჩევლად სქესის, რასის, ეროვნების, წარმომავლობის, რწმენის, საზოგადოებრივი სტატუსის, ფიზიკური, გონებრივი, ემოციური სხვაობისა და სწავლის განსხვავებული უნარისა.*

---

გამოსცა:

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი  
დავით აღმაშენებლის ხეივანი, 13 კმ., 2, 0131  
თბილისი, საქართველო  
[www.ibsu.edu.ge](http://www.ibsu.edu.ge)  
[contact@ibsu.edu.ge](mailto:contact@ibsu.edu.ge)

